



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000079248797817

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 10

23 / მარტი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ა.ა.ი.პ "ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გარე განათების სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით გადაცემის შესახებ შემდეგ სატრანსპორტო საშუალებებზე:
 - „მერსედეს ბენცი“, მოდელი AXOR 1824, სარეგისტრაციონომერი OQ47000
გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული“
 - „მერსედეს ბენცი“, მოდელი ATEGO 1318, სარეგისტრაციონომერი OQ46900
გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული“
 - „მერსედეს ბენცი“, მოდელი ATEGO 1018, სარეგისტრაციონომერი OQ47100
გამოშვების წელი 2016, ფერი მწვანე, ტიპი „სპეციალიზებული“
- განკარგულება გადაეზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, ადამაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



თამარ ყვინიშვილი